



**საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისია
საქართველო – საპარლამენტო არჩევნების მეორე ტური, 2016 წლის 30 ოქტომბერი**

განცხადება წინასწარი მიგნებებისა და დასკვნების შესახებ

წინასწარი დასკვნები

არჩევნების მეორე ტური, რომელიც 30 ოქტომბერს ჩატარდა, კონკურენტული იყო და აღნიშნული არჩევნები კანდიდატებისა და ამომრჩევლების უფლებების პატივისცემით იქნა ადმინისტრირებული, მეორე ტურთან დაკავშირებული საკანონმდებლო ჩარჩოს ნაკლებობის მიუხედავად. არჩევნების ტურებს შორის პერიოდში პირველი ტურის შედეგების კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენება პოლიტიკური დისკურსის მთავარი თემა იყო. გარდა ამისა, საარჩევნო კომისიებისა და სასამართლოების მიერ საარჩევნო სარჩელების გამოძიებისას და განხილვისას გამჭირვალობის პრინციპი და საჩივრების ეფექტურად დაკმაყოფილების უფლება ხშირად არ იყო უზრუნველყოფილი. ამ ყველაფერმა საარჩევნო ადმინისტრაციის მიმართ ნდობა შეასუსტა. ამ მოკლე და ნაკლებად ხმაურიანი კამპანიის პერიოდში მედიის მუშაობა უფრო დაბალანსებული იყო ვიდრე პირველი ტურის წინ. კენჭისყრის დღის პროცედურები მშვიდად და პროფესიონალურად განხორციელდა, დამკვირვებლების მიერ მათი შეფასება დადებითი იყო, რადგან საარჩევნო კომისიები უფრო მომზადებული იყვნენ, ხოლო პროცედურების შესრულება გაუმჯობესებული იყო.

8 ოქტომბრის არჩევნების შედეგად პარლამენტის 100 წევრის (150-დან) არჩევა მოხდა. საოლქო საარჩევნო უბნების დონეზე ოქმების შესწორებასთან და მათ თავიდან გადათვლასა და გაუქმებასთან დაკავშირებული პროცედურები არასაკმარისად არის რეგულირებული. ამან კანონის არათანმიმდევრულად გამოყენება გამოიწვია და არჩევნებში ჩართული მხარეების მხრიდან საარჩევნო ადმინისტრაციისადმი ნდობა შეამცირა. საოლქო საარჩევნო კომისიის შედეგების შეჯამება მთლიანობაში 19 ოქტომბრისთვის დასრულდა, მაშინ როცა ზოგიერთ ოლქში სასამართლო სარჩელების განხილვა ჯერ კიდევ მიმდინარეობდა.

პირველი საარჩევნო დღის შემდგომ პერიოდში საოლქო საარჩევნო კომისიებმა 1,100-ზე მეტი საჩივარი მიიღეს, რომლებიც ძირითადად სარჩევნო უბნებზე დათვლის პროცესს ეხებოდა. საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ საჩივრების განხილვის პროცესში გარკვეული ნაკლოვანებები იქნა დაფიქსირებული. გამჭირვალობის პრინციპისა და საჩივრების ეფექტურად დაკმაყოფილების შესახებ ეუთოს წინაშე აღებული ვალდებულების მიუხედავად მოსარჩელე მხარეებს საჩივრების განხილვის დროისა და ადგილის შესახებ ინფორმაცია და ასევე გადაწყვეტილებების ასლები ყოველთვის არ მიეწოდებოდა ხოლმე, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში საჩივრების საფუძვლიანი გამოკვლევა არ ტარდებოდა. ღია სხდომებზე სასამართლოები კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდნენ მათ მიერ საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გაუქმების უფლებას, მაშინაც კი როდესაც ისინი დარღვევების არსებობას აღიარებდნენ.

საარჩევნო პროცესის ჩაშლის შედეგად ბათილად ცნობილ საარჩევნო უბნებზე 22 ოქტომბერს გამართული განმეორებითი კენჭისყრა კარგად ადმინისტრირებული იყო, თუმცა უბნების გადატვირთულობამ და ერთ კონკრეტულ შემთხვევაში პარტიის წარმომადგენლების, დამკვირვებლებისა და მედიის პროცესში ჩარევამ ზოგად გარემოზე უარყოფითი ზეგავლენა მოახდინა.

საარჩევნო კოდექსი არჩევნების მეორე ტურს არ არეგულირებს. გარკვეული პროცედურული საკითხების მოგვარების მიზნით, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ გამოსცა დადგენილებები, რომლებიც საარჩევნო პროცესში დაგვიანებით იქნა მიღებული, აღნიშნული დადგენილებები კანონის საკამათო ინტერპრეტირებას ახდენდნენ და ზოგიერთ შემთხვევაში საარჩევნო კოდექსს ეწინააღმდეგებოდნენ.

არჩევნების მეორე ტურისთვის მზადების პროცესში საუბნო საარჩევნო კომისიის იმ წევრების გამოცვლა მოხდა, რომლებმაც თანამდებობა დატოვეს ან რომლებიც შესაბამისი პოლიტიკური პარტიების მიერ იყვნენ გაწვეულნი. გარდა ამისა, აღნიშნული მზადების პროცესში საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისთვის ხელახალი ტრენინგები ჩატარდა. ის ტრენინგები, რომლებზეც დაკვირვება განხორციელდა, კარგად ჩატარდა, ისინი არჩევნების პირველი ტურის დროს, მათ შორის საერთაშორისო დამკვირვებლების მიერ, დაფიქსირებული კონკრეტული პროცედურული შეცდომების აღმოფხვრაზე იყო მიმართული. საარჩევნო სიების განახლება მოხდა, რის შედეგად ბოლო პერიოდში გარდაცვლილთა მონაცემები სიიდან იქნა

ამოღებული, ხოლო 18 წელს მიღწეული პირების მონაცემები სიაში იქნა შეყვანილი. საარჩევნო სიებში სხვა სახის ცვლილებები არ განხორციელებულა.

მეორე ტურის ოფიციალური საარჩევნო კამპანია 19 ოქტომბერს დაიწყო, მას შემდეგ რაც არჩევნების მეორე ტურის თარიღი იქნა გამოცხადებული. საარჩევნო კამპანია ნაკლებად ხმაურიანი იყო, კანდიდატები ძირითადად ამომრჩევლებთან პირდაპირ კონტაქტზე ახდენდნენ ფოკუსირებას. არჩევნებში მონაწილე პირებს კამპანიის თავისუფლად, ყოველგვარი შეზღუდვებისა და ინციდენტების გარეშე ჩატარების საშუალება ჰქონდათ.

არჩევნებში მონაწილე მხარეებმა მეორე ტურში საარჩევნო კამპანიის დაფინანსებასთან დაკავშირებული იგივე რეგულაციები უნდა დაიცვან, რომლებიც პირველი ტურის დროს მოქმედებდა. თუმცა არჩევნების დღის შემდგომ ფინანსური ანგარიშების წარმოდგენისთვის დადგენილი საბოლოო თარიღი საარჩევნო ფინანსების ზედამხედველობის ეფექტურობას ამცირებს.

საარჩევნო კოდექსის დებულებები, რომლებიც მედიის მუშაობას არეგულირებს, მხოლოდ საარჩევნო კამპანიის ოფიციალურად დადგენილ პერიოდს ეხება. ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის მიერ განხორციელებულმა მედიამონიტორინგმა აჩვენა, რომ პარტიებმა უფასო საეთერო დროით გარკვეული სარგებელი მიიღეს, არცერთ საარჩევნო სუბიექტს არ შეუძენია ფასიანი საარჩევნო რეკლამა. მონიტორინგს დაქვემდებარებული მაუწყებლების მიერ ძირითადი პოლიტიკური პარტიების საქმიანობის გაშუქება უფრო დაბალანსებული იყო ვიდრე არჩევნების პირველი ტურის წინ. სარედაქციო პროგრამების ძირითადი თემა იყო ერთი პარტიის მიერ საკონსტიტუციო უმრავლესობის მიღების შესაძლებლობა და არა არჩევნებში მონაწილე მხარეების საარჩევნო პლატფორმების განხილვა.

კენჭისყრის დღის პროცედურები ზოგადად მშვიდად და პროფესიონალურად იქნა განხორციელებული. არჩევნებზე სადამკვირვებლო საერთაშორისო მისიის წარმომადგენლებმა პროცესი ზოგადად დადებითად შეაფასეს, რადგან საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები უკეთ მომზადებული იყვნენ და პროცედურების დაცვა გაუმჯობესებული იყო, განსაკუთრებით ხმების დათვლის პროცესში. თუმცა საარჩევნო უბნებზე ხალხმრავლობამ, ადგილზე არაუფლებამოსილი პირების ყოფნამ და მათ მიერ საუბნო საარჩევნო კომისიების მუშაობაში ჩარევამ პროცესზე კვლავ უარყოფითი ზეგავლენა მოახდინა. ბევრი საარჩევნო უბნის გარეთ ხალხმრავლობა შეინიშნებოდა, ამასთან ერთად დამკვირვებლებმა რამდენიმე შემთხვევაში ამომრჩეველთა შესაძლო დაშინების ფაქტები დააფიქსირეს. დარღვევებთან და პროცედურულ შეცდომებთან და ასევე პარტიების წარმომადგენლების საარჩევნო უბნებიდან გამოძევებასთან დაკავშირებით 140-ზე მეტი საჩივარი იქნა შეტანილი.

წინასწარი დასკვნები

ზოგადი ინფორმაცია და არჩევნების შემდგომ განვითარებული მოვლენები

8 ოქტომბრის არჩევნები შერეული საარჩევნო სისტემით ჩატარდა, მასში 25 პარტია და ბლოკი და 816 მაჟორიტარი კანდიდატი მონაწილეობდა, მათ შორის 53 დამოუკიდებელი კანდიდატი. პარლამენტის 150 წევრიდან 77 წევრი ერთტურიანი პროპორციული სისტემით იქნა არჩეული. საარჩევნო ბარიერი ქართულმა ოცნებამ ხმათა 48.68 პროცენტით, ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ ხმათა 27.11 პროცენტით და საქართველოს პატრიოტთა ალიანსმა ხმათა 5.01 პროცენტით გადალახა, რის შედეგადაც მანდატების პროპორციული სისტემით გადანაწილების წესის მიხედვით, აღნიშნულმა პარტიებმა/ბლოკებმა შესაბამისად 44, 27 და 6 საპარლამენტო ადგილი მიიღეს.

არჩევნების პირველი ტურის წინასწარი შედეგები არჩევნებში მონაწილე მხარეთა უმრავლესობამ აღიარა. ბოიკოტისკენ მოწოდებების მიუხედავად ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ არჩევნების მეორე ტურში მონაწილეობაზე და პარლამენტში შესვლაზე თანხმობა განაცხადა. ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ, ნინო ბურჯანაძე – დემოკრატიულმა მოძრაობამ და პაატა ბურჭულაძე – სახელმწიფო ხალხისთვის 8 ოქტომბერს დაფიქსირებულ დარღვევებთან დაკავშირებით შემფოთება გამოხატეს და არჩევნების შედეგები მთელი ქვეყნის მასშტაბით, ასობით საარჩევნო უბანზე კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენეს.

დანარჩენ 73 ერთმანდატიან საარჩევნო ოლქში არჩევნები ორტურიანი მაჟორიტარული სისტემით ტარდება. პირველ ტურში მიღებული ხმების 50 პროცენტზე მეტი აიღო და არჩეული იქნა 23 კანდიდატი. ყველა ეს კანდიდატი ქართული ოცნების წარმომადგენელია.

30 ოქტომბერს არჩევნების მეორე ტური 50 ერთმანდატიან მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში გაიმართა, აქედან 18 ოლქი თბილისში მდებარეობს.¹ არჩევნების მეორე ტურში ოთხი პარტია/ბლოკი და სამი დამოუკიდებელი კანდიდატი მონაწილეობდა.² ოლქების უმრავლესობაში ორი მთავარი პარტია დაუპირისპირდა ერთმანეთს, ქართული ოცნება 49 ერთმანდატიან ოლქში, ხოლო ერთიანი ნაციონალური მოძრაობა 45 ერთმანდატიან ოლქში მონაწილეობდა. თავისუფალი დემოკრატების წარმომადგენელი ორი კანდიდატიდან ერთ-ერთმა და ასევე ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ერთმა კანდიდატმა საარჩევნო პროცესიდან გამოთიშვის სურვილი გამოთქვეს.³

არჩევნების პირველი ტურის და განმეორებითი არჩევნების შედეგების შეჯამება

არჩევნებზე სადამკვირვებლო საერთაშორისო მისიამ საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ 8 ოქტომბერს და შემდგომ დღეს ხმების დაჯამების პროცესი უფრო დადებითად შეაფასა ვიდრე ხმების დათვლის პროცესი. თუმცა პოლიტიკური პარტიებისა და დამკვირვებლების მიერ გაჟღერებულმა საკითხებმა და საარჩევნო ადმინისტრაციისა და სასამართლოების მიერ სარჩელების განხილვამ პროცესის ადმინისტრირებასთან დაკავშირებით კითხვის ნიშნები გააჩინა და საარჩევნო კომისიების მიმართ ნდობის შემცირება გამოიწვია (იხილეთ *საჩივრების და სარჩელების* თავი).

საარჩევნო პროცედურები საუბნო საარჩევნო კომისიის ოქმებში დაშვებული შეცდომების შესწორების საშუალებას იძლევა, საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ აღნიშნული შეცდომების იდენტიფიცირებისთვის საკმარისია საუბნო საარჩევნო კომისიის ერთი წევრის ახსნა-განმარტებითი ბარათი, რომელშიც შეცდომის მიზეზებია განმარტებული. ოქმებში მთელი რიგი შესწორებების შეტანა გახდა საჭირო, რადგან მაჟორიტარული არჩევნების კომპონენტში შედეგებისთვის ოქმების შევსებისას სპეციალურ საარჩევნო სიებში არსებულ ამომრჩეველთა (საუბარია იმ ამომრჩეველებზე, რომლებიც მხოლოდ პროპორციული სიით აძლევდნენ ხმას) ხელმოწერების დათვლის ინსტრუქციები ბოლომდე ნათელი არ იყო. გარდა ამისა, საჩივრების საფუძველზე შედეგების ოქმებში შესწორებების შეტანას საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება სჭირდება. ბევრ შემთხვევაში საოლქო საარჩევნო კომისიებმა აღნიშნული შეცდომების გამოძიება ზედპირულად მოახდინეს, მიიღეს ზოგადი ახსნა-განმარტებითი ბარათები საუბნო საარჩევნო კომისიის კონკრეტული წევრებისგან, რომლებსაც მოგვიანებით დაუკავშირდნენ და ოქმებში შესწორებები ამ ახსნა-განმარტებების საფუძველზე შეიტანეს.

325 საჩივრიდან, რომლებიც საუბნო საარჩევნო კომისიების მიერ წარმოდგენილი შედეგების გაუქმებას ეხებოდა, 10 დაკმაყოფილდა. 22 ოქტომბერს ოთხ საარჩევნო უბანზე, რომელთა შედეგების გაბათილებას ზოგად შედეგებზე ზეგავლენის მოხდენა შეეძლო, განმეორებითი არჩევნები მაჟორიტარულ კომპონენტში გაიმართა.⁴ ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიამ ამ ოთხ საარჩევნო უბანზე ხმის მიცემის და ხმების დათვლის პროცესზე დაკვირვება განახორციელა, ძირითადად ეს პროცესები მშვიდად წარიმართა, განმეორებითი არჩევნები კარგად იყო

¹ 22 ოქტომბერს განმეორებითი კენჭისყრა ერთმანდატიან ოლქებში მარნეულის ერთ და ზუგდიდის სამ საარჩევნო უბანზე გაიმართა.

² მეორე ტურში მონაწილე 100 კანდიდატიდან მხოლოდ 8 იყო ქალი.

³ 10 ოქტომბერს თავისუფალი დემოკრატების თავმჯდომარემ და გორში მაჟორიტარობის კანდიდატმა ირაკლი ალასანიამ არჩევნებში მონაწილეობაზე უარის თქმის შესახებ გააკეთა განცხადება. 23 ოქტომბერს ერთიანი ნაციონალური მოძრაობის კანდიდატმა სანდრა რულოვსმა განაცხადა, რომ იგი აღარ გააგრძელებდა არჩევნებში მონაწილეობას. თუმცა ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ გაკეთებული ინტერპრეტაციის მიხედვით, კანდიდატურის მოხსნა მხოლოდ არჩევნების პირველ ტურამდე 10 დღით ადრეა შესაძლებელი, ხოლო თუ კანდიდატი ამგვარ განცხადებას აღნიშნული პერიოდის შემდეგ აკეთებს, მისი სახელი კვლავ რჩება საარჩევნო ბიულეტენზე, არჩევნების მეორე ტური ტარდება და აღნიშნული კანდიდატისთვის მიცემული ხმების დათვლა ხდება.

⁴ განმეორებითი კენჭისყრა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯიხაშკარში მდებარე ორ საარჩევნო უბანზე და სოფელ განმუხურში არსებულ ერთ უბანზე გაიმართა (66.67.38–ე, 66.67.79–ე და 66.67.108–ე საუბნო საარჩევნო კომისიები), გარდა ამისა განმეორებითი არჩევნები მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ ყიზილაჯლოში მდებარე საარჩევნო უბანზეც გაიმართა (36.22.48–ე საუბნო საარჩევნო კომისია).

ადმინისტრირებული, თუმცა დამკვირვებლების, პარტიების და მედიის წარმომადგენლების მიერ ადგილზე შექმნილმა ხალხმრავლობამ აღნიშნულ საარჩევნო უბნებზე არსებულ გარემოზე უარყოფითი ზეგავლენა მოახდინა.⁵

19 ოქტომბერს საოლქო საარჩევნო კომისიებისგან არჩევნების შედეგების ოქმების მიღების შემდეგ ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ არჩევნების მეორე ტური 30 ოქტომბრისთვის დაანიშნა.

საჩივრები და სარჩელები

8 ოქტომბრის შემდეგ საოლქო საარჩევნო კომისიებმა 1,168 საჩივარი მიიღეს, რომლებიც ძირითადად საუბნო საარჩევნო კომისიების შედეგების შემაჯამებელ ოქმებს და ამ ოქმების შევსების ხასიათს ეხებოდა. ბევრი საჩივარი ზოგადი ხასიათის იყო და მათში დარღვევების კონკრეტული ფაქტები ან მტკიცებულებები მოცემული არ ყოფილა. უფრო საფუძვლიანი სარჩელები ძირითადად საუბნო საარჩევნო კომისიების შედეგების შემაჯამებელ ოქმებში ციფრების დაჯამებისას დაშვებულ შეცდომებს, მათში შესწორებების შეტანის მანერას და ხმების დათვლის პროცესში გამოვლენილ სხვა სახის პროცედურულ დარღვევებს ეხებოდა. საჩივრების ძირითადი ოდენობა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის (306 საჩივარი), სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების (266), დემოკრატიული მოძრაობის (235) და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის (224) მიერ იყო შედგენილი. ამ საჩივრებიდან 297 დაკმაყოფილდა, 155 ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ხოლო 481 საჩივარი არ იქნა დაკმაყოფილებული.⁶ სარჩელების უმრავლესობაში რამდენიმე მოთხოვნა იყო მოცემული.

ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიას ხმების თავიდან გადათვლასთან დაკავშირებული 307 და საუბნო საარჩევნო კომისიების შედეგების გაბათილების შესახებ 325 საჩივრის შესახებ ეცნობა. საარჩევნო კოდექსში არ არის მოცემული ის კრიტერიუმები, რომლებიც ხმის მიცემის შედეგების თავიდან დათვლის და გაბათილების შესახებ განკარგულების გამოცემას არეგულირებს. ხუთ შემთხვევაში ხმების თავიდან გადათვლის შესახებ მოთხოვნა იქნა დაკმაყოფილებული და ათ შემთხვევაში შედეგების გაბათილება მოხდა, საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ აღნიშნული გადაწყვეტილებები არათანმიმდევრულად იქნა მიღებული.⁷

ბევრ შემთხვევაში საოლქო საარჩევნო კომისიები ადგენდნენ რომ დარღვევების ფაქტები არ დასტურდებოდა, თუმცა ისინი ამგვარი საჩივრების ნაწილობრივ დაკმაყოფილებას საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების წინააღმდეგ დისციპლინარული ზომების მიღების სახით მაინც ახდენდნენ.⁸ საოლქო საარჩევნო კომისიებს არ გააჩნდათ დისციპლინარული ზომების მიღების ერთიანი პრაქტიკა. გარდა ამისა, სარჩელების ზედპირულად განხილვის ფაქტებიც იქნა დაფიქსირებული, რაც ნაწილობრივ საჩივრების განხილვისთვის გამოყოფილი მოკლე დროით და საუბნო საარჩევნო კომისიების მიერ მიღებული სარჩელების დიდი რაოდენობით იყო გამოწვეული.⁹ შედეგად, გადაწყვეტილებების უმრავლესობა სათანადოდ დასაბუთებული

⁵ ხალხმრავლობა განსაკუთრებით პრობლემატური მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ ყიზილაჯლოში მდებარე 36.22.48-ე საარჩევნო უბანზე იყო, სადაც პარტიების წარმომადგენლებისა და დამკვირვებლების მიერ ხმის მიცემისა და დათვლის პროცესში ჩარევა დაფიქსირდა. მართალია ზუგდიდში ხმების დათვლისა და დაჯამების პროცესები დადებითად იქნა შეფასებული, მაგრამ ისეთმა პროცედურულმა შეცდომებმა როგორებიცაა საარჩევნო სიის წარუმატებელი მართვა და გადასატანი საარჩევნო ყუთიდან მიღებული ბიულეტენების ცუდად დათვლა მარნეულში მიმდინარე პროცესზე უარყოფითი ზეგავლენა მოახდინა. დარღვევებთან დაკავშირებით მარნეულის საოლქო საარჩევნო კომისიაში მთლიანობაში რვა, ხოლო ზუგდიდის საოლქო საარჩევნო კომისიაში ერთი საჩივარი იქნა შეტანილი.

⁶ გარდა ამისა, 212 საჩივარი განუხილველი დარჩა, 8 უკან იქნა გაწვეული, ხოლო ადმინისტრაციულ დარღვევებთან დაკავშირებული 15 საჩივარი განხილვის სტადიაშია.

⁷ საოლქო საარჩევნო კომისიებში შედეგების გასაბათილებლად ან ხმების თავიდან გადათვლის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად წევრთა 2/3-ის მხარდაჭერაა საჭირო. ამ გადაწყვეტილებების მიღებისას გამოყენებული კრიტერიუმების შესახებ კითხვაზე პასუხად ცესკომ ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიას მხოლოდ აღნიშნულ მოთხოვნაზე მიუთითა.

⁸ სარჩელების უმრავლესობაში დამატებითი მოთხოვნის სახით საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების წინააღმდეგ დისციპლინარული ზომების მიღების შესახებ სულ 758 მოთხოვნა იქნა მიღებული.

⁹ მაგალითად 16 ოქტომბრის საქმე #3/7552-16 - საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია მე-2 საოლქო საარჩევნო კომისიის წინააღმდეგ (ვაკე), თბილისის საქალაქო სასამართლომ საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებას დაუჭირა მხარი, თუმცა განაცხადა, რომ საოლქო საარჩევნო კომისიამ ერთ-ერთი მოსარჩელის მოთხოვნებთან დაკავშირებით სათანადო გამოძიება არ ჩაატარა და შესაბამისად საოლქო საარჩევნო კომისიას სასამართლო მოსაკრებლის გადახდა დაავალა.

არ ყოფილა, რაც ეუთოს 1990 წლის კოპენჰაგენის დოკუმენტის მე-5.11 პარაგრაფის მოთხოვნას ეწინააღმდეგება.¹⁰

იურიდიული მოთხოვნებისა და საერთაშორისო კარგი პრაქტიკის მიუხედავად და წინასწარჩევნო პერიოდისგან განსხვავებით ყველა მოსარჩელეს არ ეცნობა მათი საჩივრების განხილვის დროსა და ადგილის შესახებ და ყველა საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ მოსარჩელებსთვის გადაწყვეტილებების ასლი გადაცემული არ ყოფილა.¹¹ იმის გათვალისწინებით რომ საოლქო საარჩევნო კომისიებს მათი გადაწყვეტილებების ცენტრალური საარჩევნო კომისიის რეესტრში ატვირთვის იურიდიული ვალდებულება არ გააჩნიათ, ამ ფაქტორებს გასაჩივრების უფლების შეფერხების გამოწვევა შეეძლოთ, რაც ეუთოს 1990 წლის კოპენჰაგენის დოკუმენტის მე-5.10 პარაგრაფის მოთხოვნას ეწინააღმდეგება.¹²

32 საქმე რაიონულ/საქალაქო სასამართლოებში იქნა გასაჩივრებული. ყველა მათგანი არსებითად იქნა უარყოფილი და მხოლოდ ხუთი მათგანი იქნა ნაწილობრივ დაკმაყოფილებული დისციპლინარული სანქციების დაკისრების გზით. რაიონული/საქალაქო სასამართლოების მიერ გამოტანილი 16 გადაწყვეტილება თბილისის და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოებში იქნა გასაჩივრებული. გამოძიების ზედპირულად ჩატარება ასევე სასამართლოს დონეზე იქნა დაფიქსირებული. გადაწყვეტილებები წარმოდგენილ დოკუმენტებს ეყრდნობოდა, ხოლო ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიას არ დაუფიქსირებია სასამართლოში რომელიმე მოწმის გამოძახების ან რაიმე დამატებითი დოკუმენტური მტკიცებულებების მოთხოვნის ფაქტები. ზოგიერთ შემთხვევაში განხილვის დროს სასამართლოები აღიარებდნენ სერიოზული დარღვევების არსებობას, მაგრამ ეჭვს გამოთქვამდნენ სასამართლოს მიერ საარჩევნო ადმინისტრაციის გადაწყვეტილებების გაუქმების უფლებამოსილებასთან დაკავშირებით და ამიტომ შესაბამისი პასუხისმგებლობის აღებისგან თავს იკავებდნენ.

საოლქო საარჩევნო კომისიებმა შედეგების შეჯამება იმ დროს მოახდინეს როდესაც სააპელაციო სასამართლოებში სარჩელების განხილვა ჯერ კიდევ მიმდინარეობდა. საარჩევნო კოდექსში ამასთან დაკავშირებით ურთიერთსაწინააღმდეგო დებულებებია მოცემული: ზოგიერთი მუხლის მიხედვით საოლქო საარჩევნო კომისიები უნდა დაელოდონ სასამართლოს გადაწყვეტილებებს შედეგების საბოლოო შეჯამებამდე, მაშინ როცა სხვა მუხლების მიხედვით, საოლქო საარჩევნო კომისიებს შედეგების შეჯამების დასრულება საქალაქო და რაიონული სასამართლოების მიერ გადაწყვეტილებების გამოტანამდე შეუძლიათ.¹³

ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ერთი, ხოლო დემოკრატიული მოძრაობის ცხრა საჩივარი საოლქო საარჩევნო კომისიების საბოლოო ოქმებს ეხებოდა. ცესკომ აღნიშნული საჩივრები განუხილველი დატოვა, რადგან მისი აზრით ეს საჩივრები არაუფლებამოსილი სუბიექტების მიერ იყო წარმოდგენილი.¹⁴ 23 ოქტომბერს ცესკომ პროპორციული არჩევნების შედეგების ოქმები გამოაქვეყნა. აღნიშნული შედეგები თბილისის საქალაქო სასამართლოში ლეიბორისტულმა პარტიამ, დემოკრატიულმა მოძრაობამ და საქართველოს პატრიოტთა ალიანსმა წარუმატებლად გასაჩივრეს. ლეიბორისტული პარტია წინასწარჩევნო პერიოდში საარჩევნო დარღვევების გამო ჩიოდა, მაგალითად სახელმწიფო რესურსების ბოროტად გამოყენება, სახელმწიფო უშიშროების სამსახურის მხრიდან ამომრჩევლებზე განხორციელებული ზეწოლა და საარჩევნო კამპანიის უკანონოდ წარმოება. დემოკრატიულმა მოძრაობამ საბოლოო შედეგები კენჭისყრის

¹⁰ ეუთოს 1990 წლის კოპენჰაგენის დოკუმენტის მე-5.11 პარაგრაფის მიხედვით: „პირის წინააღმდეგ მიღებული ადმინისტრაციული გადაწყვეტილებები სრულად გამართლებული უნდა იყოს“.

¹¹ ევროპის საბჭოს „ევროპული კომისიის სამართლის მეშვეობით დემოკრატიისთვის“ (ვენეციის კომისია) 2002 წლის „საარჩევნო საკითხებში კარგი პრაქტიკის კოდექსის“ მიხედვით ორივე მხარის უფლება მონაწილეობა მიიღონ განხილვებში დაცული უნდა იქნას.

¹² ეუთოს 1990 წლის კოპენჰაგენის დოკუმენტის მე-5.10 პარაგრაფის მიხედვით: “ყველას უნდა ჰქონდეს ადმინისტრაციული გადაწყვეტილებების გასაჩივრების ეფექტური საშუალებები, რათა ფუნდამენტური უფლებების პატივისცემა იქნას გარანტირებული და კანონის დაცვა იქნას უზრუნველყოფილი“.

¹³ იხილეთ 21-ე და 75-ე მუხლები, რომლებიც 124-ე მუხლს ეწინააღმდეგება.

¹⁴ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის საჩივარი მარნეულის საოლქო საარჩევნო კომისიაში ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლის მიერ იქნა შეტანილი, ხოლო დემოკრატიული მოძრაობის საჩივრები ცესკოში პარტიის წარმომადგენლის მიერ იქნა შეტანილი, კანონის მიხედვით საჩივრები თავად პარტიის მიერ უნდა იყოს წარმოდგენილი.

დღეს დაფიქსირებული დარღვევების საფუძველზე გაასაჩივრა, ხოლო პატრიოტთა ალიანსმა მანდატების განაწილება დააყენა კითხვის ნიშნის ქვეშ.¹⁵

მეორე ტურთან დაკავშირებული საკანონმდებლო ჩარჩო

საარჩევნო კოდექსი მეორე ტურის პროცედურებს არ არეგულირებს; კოდექსი მხოლოდ იმას აცხადებს, რომ არჩევნების მეორე ტური კენჭისყრის დღიდან არა უგვიანეს 25 დღეში უნდა ჩატარდეს საუკეთესო შედეგების მქონე ორ კანდიდატს შორის. მეორე ტურთან დაკავშირებული რეგულაციების ნაკლებობა პრობლემად ბევრმა დაინტერესებულმა მხარემ დაასახელა (მათ შორის ცესკომაც), აღნიშნულმა გარემოებამ სუბიექტური ინტერპრეტაციების და კანონის არათანმიმდევრულად გამოყენების საშუალება შექმნა.¹⁶

კანონში არსებული არასაკმარისი რეგულაციების გათვალისწინებით, 17 ოქტომბერს ცესკომ მიიღო დადგენილება მეორე ტურისთვის და განმეორებითი არჩევნებისთვის საარჩევნო პროცესის გარკვეული ასპექტების დასარეგულირებლად. აღნიშნული დადგენილებით საარჩევნო სიების განახლების წესი განისაზღვრა, არსებული საუბნო საარჩევნო კომისიების უფლებამოსილება გახანგრძლივდა, იმ პარტიებისა და ბლოკების წარმომადგენლების უფლებამოსილება შეწყდა, რომლებიც მეორე ტურში აღარ მონაწილეობენ და დამკვირვებლების აკრედიტაცია გაგრძელდა. ზოგიერთ შემთხვევაში ცესკომ კანონის ინტერპრეტაცია მოახდინა და ამავე დროს დადგენილებაში გარკვეული პროცედურები განსაზღვრა. მაგალითად, ეს კანონში ნათლად არ არის ჩაწერილი, ცესკომ მხოლოდ იმ პარტიებს, ბლოკებს ან კანდიდატებს მისცა საუბნო და საოლქო საარჩევნო კომისიებში წარმომადგენლების ყოლის უფლება, რომლებიც მეორე ტურში მონაწილეობენ. დემოკრატიულმა მოძრაობამ კანონის ამგვარი ინტერპრეტაცია ჯერ თბილისის საქალაქო სასამართლოში ხოლო შემდეგ სააპელაციო სასამართლოში წარუმატებლად გაასაჩივრა.¹⁷ ამ დადგენილებით ასევე გარკვეული საარჩევნო პროცედურებისთვის უფრო მოკლე საბოლოო ვადებია დადგენილი, რაც საარჩევნო კოდექსს ეწინააღმდეგება, რომელიც ზოგადად (და არა მხოლოდ პირველი ან მეორე ტურებისთვის) ადგენს საბოლოო ვადებს.¹⁸

მეორე ტურის საარჩევნო ადმინისტრაცია

მეორე ტურთან დაკავშირებული რეგულაციების გვიან მიღება არჩევნების ადმინისტრირების პროცესის ინკლუზიურობაზე აისახა, გარდა ამისა, აღნიშნულმა ზეგავლენა მოახდინა ცესკოს შესაძლებლობაზე ისეთ საკითხებზე მოეხდინა წინასწარი რეაგირება როგორებიცაა საუბნო საარჩევნო კომისიების დაკომპლექტება, კენჭისყრის დღის პროცედურების დროული განახლება და შესაბამისი ტრენინგების ჩატარება. ამის მიუხედავად იმ შეზღუდულ დროში, რომელიც იყო დარჩენილი მეორე ტურამდე, საარჩევნო სამზადისის განახლების შემდეგ ეს პროცესი კარგად იყო მართული და ვადები მთლიანობაში დაცული იყო.

ცესკოს დადგენილებით, პირველი ტურისთვის ჩამოყალიბებულმა საუბნო საარჩევნო კომისიებმა

¹⁵ 17 ოქტომბერს პატრიოტთა ალიანსმა საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელი შეიტანა, რომლის მიხედვითაც პარტიის აზრით მანდატების განაწილების კუთხით საარჩევნო კოდექსსა და კონსტიტუციას შორის შეუსაბამობა არსებობდა, – საჩივარი მიღებული იქნა. კანონის მიხედვით საკონსტიტუციო სასამართლოს საჩივრების განსახილველად 9 თვე გააჩნია.

¹⁶ საარჩევნო კოდექსში მოცემული ტერმინი „არჩევნები“ ზოგიერთ შემთხვევაში ცესკოს მიერ როგორც მთლიანი პროცესი, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში კი როგორც მხოლოდ პირველი ტური ისე იყო გაგებული.

¹⁷ განხილვის საგანი იყო იმ პარტიების/ბლოკების წარმომადგენლების უფლებამოსილების შეწყვეტა, რომლებიც მეორე ტურში აღარ მონაწილეობდნენ; საჩივრის მიხედვით არჩევნები ის პროცესია, რომელიც დასრულებულად მხოლოდ მეორე ტურის დამთავრების შემდეგ შეიძლება ჩაითვალოს.

¹⁸ საარჩევნო კოდექსის 32-ე მუხლის მიხედვით, საარჩევნო ადმინისტრაციის თანამშრომელთა სპეციალური საარჩევნო სიები კენჭისყრის დღემდე მაქსიმუმ მეხუთე დღეს უნდა იქნას შედგენილი, თუმცა 69/2016-ე დადგენილება ამისთვის სამდღიან პერიოდს ადგენს. 29-ე მუხლის მიხედვით საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის გაწვევის საბოლოო თარიღი კენჭისყრის დღემდე 15 დღით არის განსაზღვრული, თუმცა დადგენილება ამგვარი წევრების კენჭისყრის დღემდე ოთხი დღით ადრე გაწვევის საშუალებას იძლევა, ხოლო განმეორებითი არჩევნების შემთხვევაში ამის განხორციელება სამი დღით ადრეც არის შესაძლებელი (განმეორებითი არჩევნები მათ ჩატარებამდე მხოლოდ სამი დღით ადრე გამოცხადდა). მე-40 მუხლის მე-6 და მე-7 პარაგრაფები საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციებს დამკვირვებელთა სიების კენჭისყრამდე ორი დღით ადრე წარმოდგენის საშუალებას აძლევს, ადგილობრივმა დამკვირვებლებმა აღნიშნული სიები კენჭისყრის დღემდე ხუთი დღით ადრე უნდა წარმოადგინონ, მაშინ როცა დადგენილების მიხედვით დამკვირვებელთა სიები კენჭისყრის დღემდე სამი დღით ადრე უნდა იქნას წარმოდგენილი.

გააგრძელებს ფუნქციონირებას განმეორებითი არჩევნებისა და მეორე ტურისთვის. პირველი ტურისთვის მოქმედი საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა უმრავლესობა არჩევნების მეორე ტურშიც იყო დასაქმებული, თუმცა ზოგიერთ საოლქო საარჩევნო კომისიას სამუშაოზე ახალი პერსონალის აყვანის მიზნით ხელახალი კონკურსის ჩატარება დასჭირდა კომისიებში გამოთავისუფლებული ადგილების შესავსებად. პოლიტიკურ პარტიებს კენჭისყრის დღემდე მაქსიმუმ ოთხი დღით ადრე საუბნო საარჩევნო კომისიებში საკუთარი წარმომადგენლების ჩანაცვლების შესაძლებლობა მიეცათ. ორმა პოლიტიკურმა პარტიამ – დემოკრატიულმა მოძრაობამ და თავისუფალმა დემოკრატებმა საუბნო საარჩევნო კომისიებიდან საკუთარი წევრები გაიწვიეს თუმცა მათ მაგივრად სხვა პირები არ წარმოადგინეს.¹⁹ საოლქო საარჩევნო კომისიებმა აღნიშნული ვაკანსიები უპარტიო ადამიანებით შეავსეს, აღნიშნული პირები ღია კონკურსის საფუძველზე შეირჩნენ.

23 ოქტომბერს არჩევნებამდე 7 დღით ადრე ცესკომ მეორე დადგენილება მიიღო, რომელიც არჩევნების მეორე ტურისთვის კენჭისყრის დღის პროცედურებში არსებული გარკვეული შეუსაბამობებისა და წინააღმდეგობების აღმოფხვრაზე იყო მიმართული.

ცესკოს ტრენინგ ცენტრმა საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისთვის დამატებითი ტრენინგ სესიები ჩაატარა, რომლებიც მეორე ტურის პროცედურებს ეხებოდა. ის ტრენინგები, რომლებსაც ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისია დააკვირდა, კარგად ჩატარდა და ისინი იმ პროცედურული პრობლემების აღმოფხვრის გზებს ეხებოდა, რომლებიც არჩევნების პირველ ტურზე იქნა დაფიქსირებული, მათ შორის საერთაშორისო დამკვირვებლების მიერ.

არჩევნების მეორე ტურისთვის სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ საარჩევნო სიების განახლება მხოლოდ ბოლო პერიოდში გარდაცვლილი და 18 წელს მიღწეული ამომრჩევლების ასახვისთვის განახორციელა. ამომრჩევლებს საკუთარი მონაცემების ცესკოს ვებსაიტზე შემოწმების საშუალება მიეცათ, თუმცა მათ ცვლილებების მოთხოვნის შესაძლებლობა არ ჰქონიათ.

წინასაარჩევნო გარემო

არჩევნების მეორე ტურის ოფიციალური წინასაარჩევნო კამპანია 19 ოქტომბერს დაიწყო მას შემდეგ რაც გამოქვეყნდა ცესკოს დადგენილება მეორე ტურის დანიშვნის შესახებ. კანონით მეორე ტურის წინასაარჩევნო კამპანია მკაფიოდ არ არის რეგულირებული. ცესკოს მიხედვით, არჩევნებში მონაწილე მხარეებს ზეპირად ეცნობათ, რომ ოფიციალური წინასაარჩევნო კამპანია მეორე ტურის გამოცხადებით დაიწყო.

არჩევნების ტურებს შორის პერიოდში პოლიტიკური დისკურსი ძირითადად ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა და დემოკრატიული მოძრაობის მიერ პირველი ტურის შედეგების ეჭვქვეშ დაყენების საკითხი დომინირებდა. გარდა ამისა, დაინტერესებული მხარეების უმრავლესობა ერთი პარტიის მიერ პარლამენტში საკონსტიტუციო უმრავლესობის მიღების შემთხვევაში ძალაუფლების კონცენტრირების შედეგებს განიხილავდა. ორმა პოლიტიკურმა პარტიამ მეორე ტურში ოპოზიციისთვის მხარდაჭერის მოწოდებას დაუჭირა მხარი.²⁰

არჩევნებში მონაწილე მხარეებს კამპანიის თავისუფლად და შეზღუდვების გარეშე ჩატარების საშუალება ჰქონდათ. მეორე ტურის წინ საარჩევნო კამპანია ნაკლებად ხმაურიანი იყო. სამართალდამცავი ორგანოები ფიზიკური დაპირისპირების შესახებ რამდენიმე საქმეს იძიებს.²¹ გაჟღერდა ბრალდებები პარტიების მხარდაჭერებზე ზეწოლის შესახებ, თუმცა ოფიციალური საჩივრები წარმოდგენილი არ ყოფილა.

¹⁹ თავისუფალმა დემოკრატებმა საკუთარი საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები 21 ოქტიდან გაიწვიეს.

²⁰ აღნიშნული მოწოდებით გამოვიდნენ კერძო პირები, მათ შორის სამოქალაქო საზოგადოების ზოგიერთი წარმომადგენელი. მოწოდებას მხარი დაუჭირეს ახალმა საქართველომ და ახალმა პოლიტიკურმა ცენტრმა „გირჩმა“.

²¹ ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიამ დაადასტურა, რომ პოლიცია ორი ინციდენტის შესახებ ახორციელებს გამოძიებას, საუბარია 27 ოქტომბერს ახალციხეში და 28 ოქტომბერს გორში მომხდარ ინციდენტებზე. ადგილობრივმა დამკვირვებლებმა ასევე განაცხადეს, რომ პოლიცია კიდევ ორი ინციდენტის შესახებ აწარმოებს გამოძიებას, საუბარია 10 ოქტომბერს ხარაგაულში და 11 ოქტომბერს თბილისში მომხდარ ინციდენტებზე.

წინასწარჩევნო აქტივობები ძირითადად კარდაკარის პრინციპით და სათემო და ჯგუფური შეხვედრების სახით ტარდებოდა, რომლის მიზანი ამომრჩევლებთან მეტი პირდაპირი კონტაქტის დამყარება იყო. კანდიდატების უმრავლესობა უფრო აქტიურად იყენებდა სოციალურ მედიასა და ინტერნეტს. ახალი ბილბორდები და პოსტერები მოგვიანებით, არჩევნებამდე სულ რამდენიმე დღით ადრე განთავსდა.

წინასწარჩევნო კამპანიის დაფინანსება

მეორე ტურის წინასწარჩევნო კამპანიის დაფინანსებასთან დაკავშირებით რეგულაციები იგივე რჩება. სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა არჩევნებში მონაწილე მხარეებს აცნობა, რომ ფინანსური ანგარიშები 2 ნოემბრამდე უნდა წარადგინონ. აღნიშნული ვადა კამპანიის დაფინანსებაზე სათანადოდ დასაკვირვებლად არასაკმარისი იყო და კენჭისყრის დღემდე ანგარიშების გადამოწმებას და გამოქვეყნებას შეუძლებელს ხდიდა. გარდა ამისა, კანონი არ ადგენს კონკრეტულ ვადებს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ფინანსური ანგარიშების შემოწმებისთვის და დასკვნების გამოქვეყნებისთვის, რაც საერთაშორისოდ დამკვიდრებულ პრაქტიკას ეწინააღმდეგება.²² მეორე ტურისთვის 8–დან 21 ოქტომბრამდე პერიოდში მხოლოდ ორმა პარტიამ/ბლოკმა მიიღო შემოწმებული მონაცემები, რომელთა საერთო ოდენობა 1,083,270 ლარს (დაახლოებით 420,000 ევროს) შეადგენს, აღნიშნული შემოწმებული მონაცემები 33 დონორისგან იქნა მიღებული²³. 25 ოქტომბრის მდგომარეობით სახელმწიფო აუდიტის სამსახურს მეორე ტურთან დაკავშირებით რაიმე სახის საჩივარი არ მიუღია.

მედია

მედიასთან დაკავშირებული საარჩევნო კოდექსის დებულებები მხოლოდ ოფიციალური საარჩევნო კამპანიის პერიოდს ეხებოდა.²⁴ 9–დან 18 ოქტომბრამდე პერიოდში მედია პოლიტიკურ მოვლენებს არჩევნებთან დაკავშირებული სპეციფიკური რეგულაციების გარეშე აშუქებდა. ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის მონიტორინგმა გამოავლინა, რომ ამ პერიოდის მანძილზე პოლიტიკური ახალი ამბების და სარედაქციო პროგრამების უმრავლესობა არჩევნების შედეგების გამოქვეყნებას და მათ განხილვას ეთმობოდა, ასევე ხდებოდა პოლიტიკური პარტიების რეაქციების და რესტრუქტურირების განხილვა და ერთი პარტიის მიერ საკონსტიტუციო უმრავლესობის მიღების შესაძლებლობის განხილვა.²⁵ მონიტორინგს დაქვემდებარებულ მაუწყებლებს შორის, *რუსთავი 2*–მა არჩევნებთან დაკავშირებული ინციდენტებისა და საჩივრების გაშუქებას ყველაზე მეტი დრო დაუთმო.

არჩევნების ტურებს შორის პერიოდში საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (მარეგულირებელი ორგანო, რომელიც მედიის მიერ კანონის შესრულების ზედამხედველობას ახორციელებს) აგრძელებდა სამაუწყებლო მედიის და ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ დაფინანსებული ბეჭდური მედიის მონიტორინგს. თუმცა ამ პერიოდთან დაკავშირებული მიგნებები მხოლოდ მეორე ტურის დასრულების შემდეგ გამოქვეყნდება. 20 ოქტომბერს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ მედია მონიტორინგის მეხუთე ანგარიში გამოაქვეყნა, რომელიც 23 სექტემბრიდან 8 ოქტომბრამდე პერიოდს მოიცავდა. აღმოჩენილი დარღვევების უმრავლესობა საზოგადოებრივი აზრის კვლევის გამოქვეყნებისას ამ კვლევებთან დაკავშირებული ინფორმაციის გაცხადებას უკავშირდებოდა. ამ მხრივ, მარეგულირებელი კომისიის გადაწყვეტილებები არათანმიმდევრული იყო, როდესაც კომისიამ

²² იხილეთ ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის და ვენეციის კომისიის „პოლიტიკურ პარტიებთან დაკავშირებული რეგულაციების სახელმძღვანელო პრინციპების“ მე–200 პარაგრაფი.

²³ საანგარიშო პერიოდში ქართულმა ოცნებამ 1,066,770 ლარი ხოლო ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ 16,500 ლარი მიიღო. 33 დონორიდან მხოლოდ ერთი იყო იურიდიული პირი.

²⁴ კენჭისყრის ორ დღეს: 22 და 30 ოქტომბერს მაუწყებლებს უფასო საეთერო დროის გამოყოფის ან პოლიტიკური რეკლამის განთავსების უფლება არ ჰქონდათ, გარდა ამისა მათ თავი უნდა შეეკავებინათ ნებისმიერი სახის საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგების გამოქვეყნებისგან კენჭისყრის დაწყებამდე 48 საათის განმავლობაში.

²⁵ არჩევნების ტურებს შორის პერიოდში ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისია აგრძელებდა ექვსი მაუწყებლის (*საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი, რუსთავი 2, იმედი, მანეტრო, GDS*–ი და *ტვ პირველი*) პრაიმთაიმში (18:00–დან 24:00–მდე) მედია გაშუქების რაოდენობრივ და ხარისხობრივ მონიტორინგს.

ადმინისტრაციული ზომა გამოიყენა რუსთავი 2-ის წინააღმდეგ და არ გამოიყენა იმედის წინააღმდეგ იმავე დარღვევისთვის.²⁶

ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის მიერ ოფიციალური წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში განხორციელებულმა მონიტორინგმა აჩვენა, რომ პარტიებმა უფასო საეთერო დროით გარკვეული სარგებელი მიიღეს, ხოლო საარჩევნო სუბიექტებიდან ფასიანი სარეკლამო დრო არავის შეუძენია.²⁷ მაშინ როდესაც საზოგადოებრივ მაუწყებელს მეორე ტურის წინ საარჩევნო დებატები არ ჩაუტარებია, რამდენიმე სხვა მაუწყებელმა მსგავსი დებატების ჩატარება სცადა, თუმცა კანდიდატებმა დებატებში მონაწილეობის სურვილი არ გამოთქვეს. კანდიდატები და პარტიების წარმომადგენლები საკუთარ საარჩევნო პროგრამებს იშვიათად წარმოადგენდნენ, ამის მაგივრად განხილვები ძირითადად კვლავ ერთი პარტიის მიერ საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვების შესაძლებლობას ეხებოდა. მონიტორინგს დაქვემდებარებულ მაუწყებლებში ძირითადი პოლიტიკური პარტიების ახალ ამბებში გაშუქება უფრო დაბალანსებული იყო ვიდრე პირველი ტურის წინ, ამავე დროს პრემიერ-მინისტრის აქტივობების გაშუქება ზოგადად ყველა ტელეარხზე შემცირდა.²⁸

კენჭისყრის დღე

კენჭისყრის დღის პროცედურები წყნარ გარემოში, მშვიდად და პროფესიონალურად იქნა განხორციელებული. არჩევნებზე სადამკვირვებლო საერთაშორისო მისიის წარმომადგენლებმა არჩევნების პირველ ტურთან შედარებით პროცესი ზოგადად დადებითად შეაფასეს, რადგან საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები უკეთ მომზადებული იყვნენ და პროცედურების დაცვა გაუმჯობესებული იყო.

მონიტორინგს დაქვემდებარებული 63 საარჩევნო უბნიდან 2-ის გარდა უბნის გახსნის პროცედურები დადებითად იქნა შეფასებული. უბნების გახსნის დაგვიანება შესამჩნევად ნაკლები იყო. პროცედურები ძირითადად სრულდებოდა, თუმცა ისეთი შეცდომები როგორებიცაა საუბნო საარჩევნო კომისიების მიერ 2 შემთხვევაში ამომრჩეველთა და 4 შემთხვევაში ბიულეტენების არასწორი აღრიცხვა მაინც დაფიქსირდა. საარჩევნო უბნებზე ადგილობრივი დამკვირვებლების დიდი რაოდენობით ყოფნა ასევე იქნა დაფიქსირებული. 5 შემთხვევაში აღნიშნული დამკვირვებლები და პარტიების წარმომადგენლები პროცესში ერეოდნენ.

კენჭისყრა დადებითად შეფასდა იმ საარჩევნო უბნების 97 პროცენტში, სადაც დაკვირვება მიმდინარეობდა, თუმცა საარჩევნო უბნებზე ხალხმრავლობას (დაკვირვებას დაქვემდებარებული საარჩევნო უბნების 5 პროცენტი), საარჩევნო უბნებზე არაუფლებამოსილი პირების გაზრდილი რაოდენობით ყოფნას და საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების საქმიანობაში ჩარევას (შემთხვევების 6 პროცენტი), რაც ძირითადად ადგილობრივი დამკვირვებლების მიერ ხდებოდა (4 პროცენტი) კვლავ უარყოფითი ეფექტი ჰქონდა. საარჩევნო უბნების გარეთ ხალხმრავლობა მონიტორინგს დაქვემდებარებული საარჩევნო უბნების 38 პროცენტში დაფიქსირდა, ხოლო მონიტორინგს დაქვემდებარებული საარჩევნო უბნების 3 პროცენტში ამომრჩეველთა დაშინების ნიშნები იქნა შემჩნეული. დაფიქსირდა რამდენიმე სერიოზული დარღვევა როგორებიცაა ამომრჩევლებზე ზეგავლენის მოხდენის მცდელობა (10 შემთხვევა) და ჯგუფურად ხმის მიცემა (8 შემთხვევა), გარდა ამისა, ერთერთ საარჩევნო უბანზე ბიულეტენების ჩაყრის ნიშნები იქნა გამოვლენილი. პროცედურების დაცვა და ამომრჩევლების მიერ პროცესის გაგება მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა.

ერთერთმა პარტიამ საოლქო საარჩევნო კომისიაში ორი ოფიციალური საჩივარი შეიტანა, რომლებშიც აცხადებდა, რომ მარნეულის მუნიციპალიტეტის 15-ზე მეტი საარჩევნო უბნიდან მათი წარმომადგენლების გამოძევება მოხდა. ამ საარჩევნო უბნებზე დაკვირვების განხორციელებისას არჩევნებზე სადამკვირვებლო საერთაშორისო მისიის დამკვირვებლებმა მხოლოდ ერთი ადამიანის გამეგების ფაქტი დააფიქსირეს, მთლიანობაში მათ ამ უბნებზე არჩევნების პროცესი დადებითად შეაფასეს.

²⁶ რუსთავი 2-მა საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგები 1 ოქტომბერს გამოაქვეყნა, მაშინ როდესაც იმედმა საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგები 29 სექტემბერს და 5 ოქტომბერს გამოაქვეყნა. არც რუსთავი 2-ს და არც იმედს არ შეუსრულებიათ საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგების გამოქვეყნებასთან დაკავშირებული ყველა მოთხოვნა, რომლებიც საარჩევნო კოდექსით არის განსაზღვრული.

²⁷ მეორე ტურში ოთხმა კვალიფიციურმა სუბიექტმა მიიღო მონაწილეობა: ქართული ოცნება, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, თავისუფალი დემოკრატები და თოფაძე-მრეწველები, ჩვენი სამშობლო.

²⁸ იხილეთ განცხადება წინასწარი მიგნებებისა და დასკვნების შესახებ, მედიის შესახებ თავი, რომელიც არჩევნების პირველი ტურის შემდეგ გამოქვეყნდა.

ისევე როგორც 8 ოქტომბერს, არჩევნებზე სადამკვირვებლო საერთაშორისო მისიის წარმომადგენლებმა ახალი ამბების ონლაინ პორტალის Allmedia.ge-ის წარმომადგენელთა საარჩევნო უბნებზე დიდი რაოდენობით ყოფნა დააფიქსირეს. 3,400-ზე მეტი წარმომადგენლით Allmedia.ge ყველაზე მრავალრიცხოვანი რეგისტრირებული წარმომადგენლების მქონე ორგანიზაცია იყო ყველა დანარჩენ სადამკვირვებლო და მედია ორგანიზაციებს შორის. Allmedia.ge-ის დირექტორმა ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიას აცნობა, რომ მისი ორგანიზაციის წარმომადგენლების უდიდესი ნაწილი არჩევნებზე დასაკვირვებლად აყვანილი მოხალისეები იყვნენ, რომლებსაც შესაძლო დარღვევების ვიდეოზე აღბეჭდვა უნდა მოეხდინათ. Allmedia.ge-ს წარმომადგენლებისთვის მედია აკრედიტაციის მინიჭება, რომლებიც დამკვირვებლებივით მოქმედებდნენ, შეკითხვებს აჩენს იმის შესახებ თუ რამდენად შეუძლია მედია აკრედიტაციის პროცესს არჩევნების დღეს მოახდინოს ამ უფლების ბოროტად გამოყენების პრევენცია. არჩევნებზე სადამკვირვებლო საერთაშორისო მისიის დამკვირვებლებმა ასევე აღნიშნეს, რომ ზოგიერთი ადგილობრივი დამკვირვებლის პარტიული კუთვნილება ამკარად გამოხატული იყო.²⁹

ხმების დათვლის პროცესი მონიტორინგს დაქვემდებარებული 53 საარჩევნო უბნიდან 49-ში დადებითად შეფასდა. თუმცა სამ შემთხვევაში ადგილობრივი დამკვირვებლების და პარტიების წარმომადგენლების მიერ ხმის დათვლის პროცესში ჩარევა დაფიქსირდა. შემდეგი სახის პროცედურული შეცდომები იქნა შემჩნეული: ამომრჩეველთა რაოდენობის არასწორი აღრიცხვა (8 შემთხვევა), გამოუყენებელი ბიულეტენების გაბათილება ხმების დათვლის დაწყებამდე (7 შემთხვევა), გამოუყენებელი და გაფუჭებული ბიულეტენების არასწორი შეფუთვა (4 შემთხვევა). 14 შემთხვევაში ხელმოწერილი ოქმების საჯარო ადგილზე გამოკვრა არ მომხდარა. ნამდვილი და გაბათილებული ბიულეტენების განსაზღვრის პროცედურები გაუმჯობესდა, რადგან ეს პროცედურები ხმების დათვლის ორი შემთხვევის გარდა ყველა შემთხვევაში თანმიმდევრულად სრულდებოდა. მთლიანობაში, პირველ ტურთან შედარებით ხმების დათვლის პროცესი გაუმჯობესებული იყო.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის მონაცემებით, კენჭისყრის დღეს საოლქო საარჩევნო კომისიებში 140 საჩივარზე მეტი იქნა შეტანილი. ამ საჩივრების უმრავლესობა მარნეულის მუნიციპალიტეტში დაფიქსირდა, საჩივრების ოდენობით მარნეულს ქუთაისი, ზუგდიდი და ბათუმი მოჰყვება. საჩივრების უმრავლესობა საარჩევნო ყუთთან დაკავშირებულ დარღვევებს, საუბნო საარჩევნო კომისიებში არაუფლებამოსილი პირების ყოფნას, საარჩევნო უბნებზე კამპანიის ჩატარებას, პროცედურების დარღვევებს, საჩივრების რეგისტრაციაზე უარს და დამკვირვებლებისა და მედიის წარმომადგენლების უბნებიდან გაძევებას ეხებოდა.

ხმების დაჯამების პროცესი დადებითად ერთის გარდა ყველა შემთხვევაში იქნა შეფასებული. ოთხ შემთხვევაში ადგილზე არაუფლებამოსილი პირები იმყოფებოდნენ, თუმცა ისინი პროცესში არ ჩარეულან. ცესკომ საკუთარ ვებგვერდზე საუბნო საარჩევნო კომისიების შედეგების ოქმების გამოქვეყნება 22:00 საათიდან დაიწყო, ხოლო პირველი წინასწარი შეჯამებული შედეგები 31 ოქტომბრის 09:00-ზე გამოაქვეყნა.

**წინამდებარე ანგარიშის ინგლისური ვერსია ერთადერთი ოფიციალური დოკუმენტია.
ხელმისაწვდომია არაოფიციალური თარგმანი ქართულ ენაზე.**

ინფორმაცია მისიის შესახებ და სამადლობელი

თბილისი, 2016 წლის 31 ოქტომბერი – წინამდებარე „წინასწარი მიგნებებისა და დასკვნების შესახებ განცხადება“ ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის, ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის, ევროპარლამენტის და ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ერთობლივი ძალისხმევით შედგენილი წარმომადგენლის შეფასების მიზენი იყო იმის დადგენა შეესაბამებოდა თუ არა არჩევნები ეუთოს მიმართ აღებულ ვალდებულებებს, ევროპის საბჭოს სტანდარტებს, სხვა საერთაშორისო ვალდებულებებს და დემოკრატიული არჩევნების სტანდარტებს, ასევე ეროვნულ კანონმდებლობას.

²⁹ Allmedia.ge-ს ვებსაიტზე კენჭისყრის დღის ჟურნალისტური გაშუქების დამადასტურებელი რაიმე მასალა არ განთავსებულა, ცესკომ Allmedia.ge-ის წარმომადგენლებისგან მხოლოდ სამი საჩივარი მიიღო, რომელთა წარდგენის უფლება მხოლოდ ადგილობრივ დამკვირვებლებს გააჩნიათ.

იგნასიო სანჩეს ამორი ეუთოს ამჟამინდელმა თავმჯდომარემ სპეციალურ კოორდინატორად და ეუთოს მოკლევადიანი სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელად დანიშნა. ევროპარლამენტის დელეგაციას ანა გომესი ხოლო ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის დელეგაციას ემანუელის ზინგერისი ხელმძღვანელობდა. ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის ხელმძღვანელობდა ალექსანდრე კელჩევსკი, რომელმაც საქმიანობა ქვეყანაში 30 აგვისტოს დაიწყო.

საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისიაში მონაწილე თითოეული ინსტიტუტი არჩევნებზე საერთაშორისო დაკვირვების პრინციპების 2005 წლის დეკლარაციის დაცვით მოქმედებს. წინასწარი მიგნებებისა და დასკვნების შესახებ წინადადება განცხადება საარჩევნო პროცესის დასრულებამდე მომზადებული. არჩევნების საბოლოო შეფასება, ნაწილობრივ, დამოკიდებული იქნება საარჩევნო პროცესის დანარჩენი ეტაპების წარმართვაზე, რაშიც შედის შედეგების დათვლა, დაჯამება და გამოცხადება, ასევე კენჭისყრის დღის შემდეგ სავარაუდოდ წარდგენილი საჩივრების ან საჩივრების განხილვა. ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი საარჩევნო პროცესის დასრულებიდან დაახლოებით რვა კვირის განმავლობაში სრულ საბოლოო აგნარიშს გამოსცემს, პოტენციური გაუმჯობესებისთვის შეთავაზებული რეკომენდაციების ჩათვლით. ეუთოს საპარლამენტო ასამბლეა თავის აგნარიშს მუდმივმოქმედი კომიტეტის სხდომაზე წარადგენს ვენაში, 2017 წლის 23 თებერვალს. ევროპის პარლამენტი თავის აგნარიშს ევროპარლამენტის საგარეო საქმეების კომიტეტთან გამართულ ბრიგინგზე 7 ნოემბერს წარადგენს ბრიუსელში. ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა თავის აგნარიშს თავისი მუდმივი კომიტეტის შეხვედრაზე წარადგენს ნიჟოზიაში, 26 ნოემბერს.

არჩევნების მეორე ტურში ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისია წარმოდგენილია 14 ექსპერტით დედაქალაქში და 14 გრძელვადიანი დამკვირვებლით, რომლებიც მთელი ქვეყნის მასშტაბით არიან გადანაწილებულნი. კენჭისყრის დღეს 156 დამკვირვებელი 27 ქვეყნიდან იქნა მივლენილი, რომელთა შორისაა 112 გრძელვადიანი და მოკლევადიანი დამკვირვებლები ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისიდან, ასევე 8 წევრიანი დელეგაცია ეუთოს საპარლამენტო ასამბლეიდან, 12 წევრიანი დელეგაცია ევროპის პარლამენტიდან და 7 წევრიანი დელეგაცია ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეიდან. გახსნის პროცესზე 60 საარჩევნო უბანზე, ხოლო კენჭისყრაზე 548 საარჩევნო უბანზე დაკვირვება მთელი ქვეყნის მასშტაბით მოხდა. ხმების დათვლაზე დაკვირვება 53 საარჩევნო უბანზე განხორციელდა, დაჯამებას კი 30 საოლქო საარჩევნო უბანში დააკვირდნენ.

დამკვირვებლებს სურთ მადლობა გადაუხადონ ხელისუფლებას არჩევნებზე დასაკვირვებლად მოწვევისთვის, ასევე ცენტრალურ საარჩევნო კომისიას და საგარეო საქმეთა სამინისტროს დახმარებისთვის. ისინი ასევე თანამშრომლობისთვის მადლობას უხდებიან სხვადასხვა სახელმწიფო უწყებების, პოლიტიკური პარტიების და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების, ასევე საერთაშორისო საზოგადოების წარმომადგენლებს.

დამატებითი ინფორმაციისთვის გთხოვთ დაუკავშირდეთ:

- ელჩი ალექსანდრე კელჩევსკი, ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელი თბილისში (+995599628722);
- ლორენ ბარანოვსკა, ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი (+48 695 916 998), ან ოლექსი ლიჩკოვსკი, ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის მრჩეველი არჩევნების საკითხებში ვარშავაში (+48 601 820 410);
- ანდრეას ბეიკერი, ეუთოს საპარლამენტო ასამბლეა, +45 60 10 81 26;
- ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის კომუნიკაციის განყოფილება, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა (+33 388 41 31 93);
- მარტა უდინა, ევროპის პარლამენტი (+995 595 04 08 19).

ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის მისამართი:

ნუცუბიძე, ბესარიონ ჟღენტის ქუჩა #16, 0183, Tbilisi

ტელ.: +995 32 224 0648

ელ. ფოსტა: office@odihr.ge

ვებგვერდი: <http://www.osce.org/odihr/elections/georgia/261521>;